პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს სხდომა

სხდომის ოქმი N1

31 მარტი, 2016 წელი

შეხვედრის დასახელება	პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს სხდომა
შეხვედრის თარიღი:	31 მარტი, 2016 წ.
შეხვედრის ადგილი:	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
შეხვედრის მონაწილეები:	
სახელი, გვარი	თანამდებობა
ქეთევან ნატრიაშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე
რევაზ ჯაველიძე	საქართველოს სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე
დავით გალეგაშვილი	საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე
თენგიზ შერგელაშვილი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე
ელგუჯა მელაძე	ა(ა)იპ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი
მაია ჩიხლაძე	ა(ა)იპ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის გამგეობის წევრი; ქალ-მეწარმეთა ასოციაციის გამგეობის წევრი
მიხეილ ჭელიძე	ა(ა)იპ საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის პრეზიდენტი
ილია ვერძაძე	ა(ა)იპ საქართველოს პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანების თავმჯდომარე
ლავრენტი ალანია	ა(ა)იპ საქართველოს ტრანსპორტისა და გზების მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე
გოჩა ალექსანდრია	ა(ა)იპ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე
ირინე ინასარიძე	ა(ა)იპ ასოციაციის „ანიკა“ დირექტორი
სერგო თურმანიძე	ა(ა)იპ ასოციაციების მართვის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი
ალექსანდრე ეჯიბაძე	ა(ა)იპ საქართველოს პროფესიული განათლების ფონდის გამგეობის თავმჯდომარე
ირინა წეროძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი

თამარ სამხარაძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი
ნიკოლოზ მესხიშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი
ნინო ნარეშელაშვილი	ა(ა)იპ ასოციაციების მართვის ცენტრი
გიორგი გამყრელიძე	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს ხელმძღვანელი
ლელა მაისურაძე	ევროკავშირის პროექტი "დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმების ტექნიკური დახმარება საქართველოში"
თამარ თორია	ა(ა)იპ საქართველოს ფერმერთა ასოციაცია
საბა სარიშვილი	გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)
ანასტასია ქიტიაშვილი	ათასწლეულის გამოწვევის ფონდი -საქართველოს (MCA-Georgia) პროექტი ,,პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის"; ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტი
თეა სიფრაშვილი	გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)
თეა გულუა	გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)
პიტერ ტასკერი	ევროკავშირის შეფასების მისია
არამ ავაგიანი	ევროკავშირის შეფასების მისია
იანის სოფიანოპოლოს	ევროკავშირის შეფასების მისია
შეხვედრის მდივანი	
მარიამ შოთაძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი

შეხვედრის დღის წესრიგი			
N	**თემა**	**ხანგრძლივობა**	**მომხსენებელი**
1	სხდომის გახსნა; დღის წესრიგის გაცნობა	5 წთ.	**ქეთევან ნატრიაშვილი** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე.
2	**განსახილველი/შესათანხმებელი თემები**		
2.1	პროფესიული განათლების სისტემაში საჯარო-კერძო პარტნიორობის კონცეფცია	20 წთ.	**ირინა წეროძე** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი.
2.2	სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების კონცეფციის დანერგვის სამოქმედო გეგმა	20 წთ.	**რუდიგერ ჰაინინგი** - გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)
2.3	შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევის შედეგები	20 წთ.	**გიორგი გამყრელიძე** - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს ხელმძღვანელი
2.4	პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონის პროექტი - კონცეფცია	20 წთ.	**თამარ სამხარაძე** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი
4	**დისკუსია და შეჯამება;** **ეროვნული პროფესიული საბჭოს 2015 წლის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების საკითხის განხილვა;**	20 წთ.	**ქეთევან ნატრიაშვილი** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე.

	პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს მდივნის წარდგენა		

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე, ქ-ნი ქეთევან ნატრიაშვილი, მიესალმა პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს (შემდგომში საბჭო) სხდომის მონაწილეებს. მან მოწვეულ სტუმრებს გააცნო დღის წესრიგი და მიაწოდა ინფორმაცია ეროვნული პროფესიული საბჭოს 2015 წლის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების საკითხთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე საბჭოში წარმოდგენილია ოთხი მხარე - სახელმწიფო, დამსაქმებლები, პროფესიული კავშირები და სამოქალაქო საზოგადოება. ქ-ნმა ქეთევანმა აღნიშნა, რომ საბჭომ, ოთხმხრივი შემადგენლობით, ერთი წლის განმავლობაში, ერთგვარ საცდელ რეჟიმში იმუშავა. მიმდინარე ეტაპზე დგას საბჭოს საქმიანობის ეფექტურობის შეფასების საკითხი, რათა მიღებულ იქნას გადაწყვეტილება, საბჭოს იგივე შემადგენლობით დატოვების ან განსხვავებული მოდელის შესაბამისად ფორმირების შესახებ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ევროპული განათლების ფონდისგან (ETF) მიიღო პარტნიორობის შეთავაზება. კერძოდ, სამინისტროს თანხმობის შემთხვევაში, არსებობს შესაძლებლობა, ტურინის პროცესის შეფასების მიზნებისთვის დაქირავებული ექსპერტის სამუშაო აღწერილობამ მოიცვას საბჭოს საქმიანობის შეფასების საკითხიც. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ექსპერტის შერჩევა უკვე დაწყებულია, ზემოთ აღწერილი პროცესი სავარაუდოდ მიმდინარე წლის ზაფხულში დასრულდება. ქ-ნმა ქეთევანმა, ასევე აღნიშნა, რომ სამინისტრომ, საკითხის განხილვის შედეგად, მიზანშეწონილად მიიჩნია, საბჭოს საქმიანობის ეფექტურობის შეფასება განახორციელოს დამოუკიდებელმა ექსპერტმა. ვინაიდან ევროპული განათლების ფონდს აღნიშნული საქმიანობის გამოცდილება უკვე აქვს, სასურველია, დაგეგმილი შეფასებაც ETF-თან თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდეს. საბჭომ მოიწონა ინიციატივა, რის შედეგადაც, ქ-ნმა ქეთევანმა აღნიშნა, რომ საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე, სამინისტრო მოლაპარაკებას დაიწყებს ევროპული განათლების ფონდთან.

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი - პროფესიული განათლების სისტემაში საჯარო-კერძო პარტნიორობის კონცეფცია წარმოადგინა პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსმა, ქ-ნმა ირინა წეროძემ. პრეზენტაციაში წარმოდგენილი იყო როგორც ევროპული გამოცდილების მაგალითები, ასევე, საქართველოს რეალობაში არსებული საჯარო-კერძო პარტნიორობის გამოცდილება, პროფესიული განათლების სისტემაში საჯარო-კერძო პარტნიორობის შესაძლო მოდელები, კონცეფციის დანერგვის 2016 წლის სამოქმედო გეგმა და კონცეფციის განხორციელების მოსალოდნელი შედეგები, როგორებიცაა, პროფესიული განათლების მიმზიდველობის გაზრდა, პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესება, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული სისტემის ფორმირება, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა, მეწარმეობის

მხარდაჭერა, სასწავლებლების ინსტიტუციური გაძლიერება და სხვა. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ საკითხებზე მუშაობა სამინისტროში უკვე დაწყებულია და 2017 წლიდან იგეგმება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პილოტირება, რაც გულისხმობს რამდენიმე პროფესიაში სტუდენტების მიღებასა და სწავლებას აღწერილი მიდგომით. ქ-ნმა ქეთევანმა ხაზი გაუსვა კონცეფციის განხორციელების მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ სხვა დადებითი ეფექტების გარდა, ხელს შეუწყობს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების (WBL) დანერგვასაც. მან, ასევე, ისაუბრა დონორი ორგანიზაციების ჩართულობაზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაცია (GIZ) მხარს უჭერს სამინისტროს, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დანერგვაში მეღვინეობის მიმართულებით და მოსამზადებელი სამუშაოების შედეგად, გამოიკვეთა კერძო კომპანიები, რომლებიც მზაობას გამოთქვამენ, მონაწილეობა მიიღონ სწავლების პროცესში. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის ,,პროფესიული განათლება და ექსტენცია სოფლის მეურნეობის სფეროში" ფარგლებში შემუშავებულია სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების კონცეფცია და განხორციელების სამოქმედო გეგმა. პროექტი დახმარებას უწევს სამინისტროს მიდგომის დანერგვაში სოფლის მეურნეობის მიმართულების პროფესიებში. იმისათვის, რომ აღნიშნული სერვისი ხელმისაწვდომი იყოს სხვა პროფესიების დაუფლების მსურველთათვისაც, სამინისტრო მოლაპარაკებებს აწარმოებს კერძო სექტორთან და დონორ ორგანიზაციებთან.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი - სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების კონცეფციის დანერგვის სამოქმედო გეგმა - წარმოადგინა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) წარმომადგენელმა, რუდიგერ ჰაინინგმა. მან საბჭოს წევრებს გააცნო კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების ეტაპზე განხორციელებული აქტივობები, პროცესში ჩართული მხარეები და მოკლედ მიმოიხილა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მოდელი. მომხსენებელმა აღნიშნა, უშუალოდ დანერგვის სამოქმედო გეგმა 8 კომპონენტს მოიცავს:

1. სისტემის ჩარჩოს შემუშავება;
2. სასწავლო პროცესისა და კურიკულუმის ორგანიზება;
3. კომპანიების ჩართულობა;
4. სერვისები სტუდენტებისთვის;
5. ხარისხის უზრუნველყოფა;
6. მასწავლებლები / ინსტრუქტორ-მასწავლებლები/მომზადება/განვითარება;
7. ზედამხედველობა და მართვა;
8. ცნობადობის გაზრდა.

მან ასევე ისაუბრა კომპანიებისა და სტუდენტების შერჩევის პროცედურებსა და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დაფინანსების მოდელზე.

საჯარო-კერძო პარტნიორობის კონცეფციასა და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების კონცეფციის დანერგვის სამოქმედო გეგმაზე მსჯელობის შედეგად, საბჭომ ჩამოაყალიბა შემდეგი რეკომენდაციები:

- საჭიროა, გაკეთდეს სამართლებრივი საფუძვლების ანალიზი და დადგინდეს, რის განხორციელების საფუძველს იძლევა არსებული კანონმდებლობა და რა საკანონმდებლო ცვლილებებთან არის დაკავშირებული განხილული მიდგომების დანერგვა. აქვე, გასათვალისწინებელია სტუდენტის სტატუსი, რომელიც, კომპანიასთან სამართლებრივად უნდა იყოს დაკავშირებული;
- ჩამოყალიბდეს დამსაქმებლის შერჩევის კრიტერიუმები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება შრომის უსაფრთხოების საკითხი და შშმ და სსსმ სტუდენტების საჭიროებები;
- შშმ და სსსმ სტუდენტების დაფინანსებისთვის შემუშავდეს განსხვავებული ვაუჩერი;
- შეიქმნას პორტალი, რომელზეც დარეგისტრირდება სასწავლო ვაკანსიები (შესაძლებელია worknet.gov.ge -ის გამოყენება);
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ აწარმოოს მოლაპარაკებები საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებთან, კერძო სექტორის მასტიმულირებელი მექანიზმების შემუშავების პროცესში.
- დეტალურად გაიწეროს პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროგრამა სამუშაო ადგილზე;
- მიზანშეწონილია, გაკეთდეს რისკების ანალიზი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი - შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევის შედეგები - წამოადგინა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს ხელმძღვანელმა, ბ-ნმა გიორგი გამყრელიძემ. პრეზენტაციაში წარმოდგენილი იყო როგორც კვლევის მეთოდოლოგია, ასევე, კვლევის შედეგად გამოვლენილი მთავარი ასპექტები.

საკითხთან დაკავშირებული კითხვებისა და შენიშვნების რაოდენობიდან გამომდინარე, მომხსენებელმა გამოთქვა მზადყოფნა, დაინტერესებულ მხარეებთან გაიმართოს დამატებითი შეხვედრები, კვლევის შედეგების განხილვის მიზნით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხი - პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონის პროექტის კონცეფცია - წარმოადგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოს უფროსმა, ქ-ნმა თამარ სამხარაძემ. მან აღწერა კანონპროექტის შემუშავების პროცესი და საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია ძირითადი საკითხების შესახებ, რომელთაც არსებული კანონისგან განსხვავებულად არეგულირებს ახალი კანონპროექტი.

საბჭო შეთანხმდა, რომ საკითხის სერიოზულობიდან გამომდინარე, უმჯობესი იქნება, წევრებს მიეცეთ შესაძლებლობა, დეტალურად გაეცნონ კანონპროექტს და მომზადებული რეკომენდაციები განხილულ იქნეს საბჭოს მომდევნო სხდომაზე.

ქ-ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა მადლობა გადაუხადა მონაწილეებს თანამშრომლობისთვის და შეაჯამა სხდომა. მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ საბჭოს წევრებს გაეგზავნებათ პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონის პროექტის კონცეფცია.

შეხვედრის თავმჯდომარე ----------/ქეთევან ნატრიაშვილი/

შეხვედრის მდივანი ---------- /მარიამ შოთაძე/